ოქმი:**ო37. 3724362001**

თარიღი:**27/12/2024**

ოქმი N 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის

2024 წელი, 27 დეკემბერი
ქ. ოზურგეთი
11.00 -12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი; ფრაქციის თავმჯდომარე- მ. ჩხიკვიშვილი; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 24 -მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 24-ხმით.

დღის წესრიგი

20.1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 24-ხმით.

თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ, საკითხის გაცნობამდე განაცხადა, რომ დღეს იმართება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბოლო სხდომა 2024 წელში,

საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მოსახლეობას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და უსურვა 2025 წელში წარმატებები. შემდეგ მოკლედ გააცნო საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის ძირითადი პარამეტრები, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა 2024 წელში გადალახა 80 მილიონიანი ზღვარი, გამოთქვა იმედი, რომ მომავალშიც მოხდება ბიუჯეტის ზრდა ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების შესაბამისად, მოკლედ ისაუბრა შემოსავლების იმ სახეობებზე, რომლებიდანაც მოხდა დამატებითი შემოსავლების შემოსვლა, საკრებულოს მიაწოდა ინფორმაცია დამატებით შემოსული ასიგნებების განაწილების თაობაზე.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა ბიუჯეტის ცვლილებების პროექტზე და მხარს უჭერს მის დამტკიცებას. დადგენილება დამტკიცდა 24-ხმით.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ ბოლო პერიოდში სერიოზულად გააუმჯობესა ოპერატიული თვალსაზრისით როგორც ფინანსური რესურსების, ასევე აღმასრულებელი ორგანოს დებულებით გათვალისწინებული სხვა ასპექტების მართვაც, გაცილებით უკეთესია მოქალაქეთა წერილებსა და კორესპოდენციებზე მუშაობის ხარისხი და დამოკიდებულება, იმედი გამოთქვა, რომ მერია მომავალში კიდევ უფრო გააუმჯობესებს მუშაობას.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ დამსწრე საზოგადოებას, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მოსხლეობას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და უსურვა 2025 წელში წარმატებები.

2. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი